## ინფორმაცია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

### 1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო საკუთარ ეთერში ყოველ საათში 5 წუთი უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსებს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინასაარჩევნო რეკლამას, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). წინასაარჩევნო რეკლამა განთავსება ყოველ ერთ საათში არაუმეტეს 60 წამით.

არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის.

### 2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* არაკვალიფიციური სუბიექტისთვის სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ერთი არაკვალიფიციური სუბიექტისთვის 15 წმ. ოდენობით 10:00-11:00, 15:00-16:00 და 19:00-20:00 საათამდე პერიოდში (დღეში ჯამურად 45 წმ. ოდენობით)

### 3) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

* წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფრომაცია ყოველკვირეულად განთავსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებგვერდზე www.adjaratv.ge

### 4) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

* საქართველოს ორგანული კანონის ``საქართველოს საარჩევნო კოდექსის`` 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა ``ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` ან ``უფასო პოლიტიკური რეკლამა``.

* საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს დირექტორის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ.41.

* სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის (განაცხადის) რიგითობის მიხედვით.

* წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე zurabjijavadzetv@gmail.com; i.gogolishvili@ajaratv.ge; gigachkh@ajaratv.ge უნდა გამოაგზავნოს წერილი და მედიაგეგმა დირექტორის ნათია კაპანაძის სახელზე. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან (სამუშაო დღე) მეორე სამუშაო დღეს. ჩანაცვლების ან განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა აცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე zurabjijavadzetv@gmail.com; i.gogolishvili@ajaratv.ge; gigachkh@ajaratv.ge.

## 5) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

* სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან საარჩევნო ნომერი, ``უფასო ან ფასიანი პოლიტიკური რეკლამა``- შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX

* სარეკლამო რგოლი უნდა იყოს TARGA ან HDTV 1080i 25 ფორმატში 1920X1080 რეზოლუციით CD ან DVD დისკზე,

* ხმა-სტერეო, 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 6 დეციბალი- min 18 დეციბალი

საკონტაქტო პირი : მაუწყებლობის განვითარების უფროსი ინგა გოგოლიშვილი 591 980520, გაყიდვებისა და დონორების მოზიდვის მენეჯერი გიგა ჩხარტიშვილი 593353003, სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების კოორდინატორი ზურაბ ჯიჯავაძე 591 980577.